N 53 22/02/2017

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
ალ.გოგოძის ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი

2017 წელი, 22 თებერვალი
ქ. ოზურგეთი
12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დ.კვერღელიძე -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე-გ. კილაძე.
საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თვმჯდომარე -დ.კვერღელიძე მიესალმა და მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და განსაკუთრებით, ამომრჩევლებს, რომლებიც ინტერესდებიან მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებით და იჩენენ აქტივობას, აღნიშნა, რომ დაიწყო საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრის მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ამომრჩევლებისათვის ჩაბარება, განაცხადა, რომ ალ.გოგოძე არის მაღალი პასუხისმგებლობის მქონე საკრებულოს წევრი, საკრებულოს ფრაქცია „ჩვენი ოზურგეთ“-ს თავმჯდომარე, აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციის, კომისიის მიერ პრობლემატური საკითხების განხილვაში,იცნობს და ყოველთვის აქტიურობს სოფლის პრობლემატური საკითხების გადაწყვეტაში.
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ალ.გოგოძემ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის N131 მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ 2016 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქციის, კომისიის სხდომებზე და ამომრჩევლებთან შეხვედრებზე გაწეული მუშაობის ანგარიში.

ამომრჩევლებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისაგან ითხოვეს რამდენიმე პრობლემატური საკითხის გადაწყვეტაში დახმარება:

სოფლის გაზიფიკაცია და შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა.

სხდომის თავმჯდომარემ დ.კვერღელიძემ აღუთქვა ამომრჩევლებს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტი გაუწევს დახმარებას არსებული პრობლემების მოგვარებაში.

ამომრჩევლებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ თანამდებობის პირებს მადლობა გადაუხადეს ღონისძიებაში მონაწილეობისათვის და გამოთქვეს აზრი საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასებულიყო დამაკმაყოფილებლად, რომელსაც სხდომის თავმჯდომარემ და სხდომამც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დიმიტრი კვერღელიძე

თავმჯდომარის მოადგილე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო